
ვეფხის ტყაოსანი:
აწ ახალი დაბეჭდული ქართულის ენასა ზედა ჟამსა ამა
დიდებულისა საქართველოს მპყრობელისა
ბატონიშვილისა ჯანიშინისა ვახტანგისსა:
შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა:
გამმართველითა ჴელითა ჴელოსნისა კარის დევანისა შვი-
ლის მიქელისათა: ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქეთ
ათს შვიდას ათორმეტსა დასაბამითგან ვიდრე
აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა:

„ვეფხის ტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის (1712 წ.) თავფურცელი.

სასახლე, შიგნით მოსარკული, მოოქრული და მოხატული, დამშვენებული იყო მარმარილოთი, ლაჟვარდით. იქვე აშენდა ვახტანგის ძმის, სვიმონ ბაგრატიონის სასახლე და ა. შ.

მშენებლები ხელმძღვანელობდნენ საამშენებლო დახაზული პროექტებით.

მრავალი მოიპოვება ნიმუშები ტრადიციული ოქრომჭედლობისა, ხატვისა, ქარგვისა. ოქრომჭედლების მიერ გამოსახული არიან, მაგალითად, ვახტანგის თანამედროვე იმერთა მეფე ალექსანდრე და მისი დედოფალი ქართულ სამოსელში (გელათის ხატზე). ოქრონაჭედი სახებით შემკულია წიგნების ყდებიც (სახარება). სუფთა ნაქარგის ნიმუშს წარმოადგენს კახეთის მეფის ერეკლე I-ის ასულის, ელენეს ნახელავი გარდამოხსნა (მიცვლილი ქრისტეს გამოსახულება).

მხატვრების საინტერესო ნახელავები გადარჩენილან, კერძოდ, ეკლესიებში; მხატვრული სურათებით, ჩარჩოებით, ვინიეტებით, მინიატურებით ამკობდნენ წიგნებს. ისინი გამოყენებული არიან ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნებშიც. ყდებს ალამაზებდნენ ტყავზე გრავირების ცოდნის გამოყენებით.

სტამბის დაარსება

საქართველოში პირველი სტამბის ორგანიზატორთა რიცხვში უმეტესი სახსოვარი დარჩა ვახტანგ VI-ს, როგორც საქმის ინიციატორს. სტამბის მოწყობილობა, აგრეთვე სპეციალისტი-ინსტრუქტორი, უნგროვლახელი მიხაილ სტეფანეშვილი, რუმინეთიდან (ვლახეთიდან) მიიღეს იქ მოღვაწე მწიგნობრის, ანთიმოზ ქართველის ხელისწყობით. 1708 წ-დან წიგნმა იწყო გამოსვლა. იწვრთნებოდნენ ქართველი ასოთამწყობები, კორექტორები; რედაქტორობდნენ ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე და სხვ. დღემდე დაცულია ამ სტამბის ოცი გამოცემის ნიმუშები (1708 — 1722 წწ.), უმთავრესად საეკლესიო წიგნები, „დაბადების“ ნაწილები — „დავითნი“, „სახარება“ და ა. შ.

ვახტანგმა თავს იდვა „ვეფხის ტყაოსნის“ რედაქტირება და დაბეჭდვა (1712 წ.).

წიგნი, წერა-კითხვა ბატონყმურ საზოგადოებაში უშუალოდ გაბატონებული კლასისათვის ხელმისაწვდომ სიკეთედ რჩებოდა, მაგრამ წიგნის ასეთი შეზღუდული გამოყენება მაინც მთელი ხალხის პროგრესის საწინდარი იყო.

თავი XX

საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. ბრძოლა პირველობისათვის ამიერკავკასიაში

1744 წელს ირანის შაჰმა ნადირმა თ ე ი მ უ რ ა ზ II ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ე რ ე კ ლ ე II კახეთის მეფედ დანიშნა. ამრიგად, ქართლ-კახეთი მამა-შვილის ხელში გაერთიანდა.

1748 — 1750 წლებში ქართლ-კახეთს ფიცხელი ომები ჰქონდა მეზობელ ხანებთან, რომელთაც მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სურდათ გაბატონება. ამ ომებში ქართლ-კახეთის სამეფოებმა ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვება. ერევნის, განჯისა და ნახჭევანის ხანები ამ სამეფოთა მოხარკეები გახდნენ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქართლისა და კახეთის უპირატესობა თითქოს უცილობელი ხდებოდა.

ერეკლე II.

საქართველოში დაღისტნელი ფეოდალების თარეშის მოსასპობად ქართლისა და კახეთის მმართველ წრეებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი კვლავ კახეთისათვის შემოერთება: აღნიშნული კუთხეები თავშესაფრად ჰქონდათ გადაქცეული აბრაგებს.

ჭარელებს დაღისტნიდან მაშველი ძალა მოუვიდათ და 1750 წელს ისინი საქართველოზე გამოემართნენ და სასტიკად დაარბიეს იგი. ქართლისა და კახეთის ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ დაღისტნელთა მთავარ ძალას და ალაზან-ივრის შესართავთან შეება მას. მტერი დამარცხდა. ამ გამარჯვებას ქართლ-კახეთის მმართველ წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: მოპოვებული წარმატება „ლეკთა“ საკითხის საბოლოო გადაჭრის საწინდრად ესახებოდათ. შედგა სამეფო დარბაზის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა „უბატონო თემების“ დაპყრობა.

ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის შეერთებით კახეთის სამეფო შაქს უშუალოდ უმეზობლდებოდა. ეს კი შაქი-შარვანის ხანს აჯი-ჩალაბს აშფოთებდა და იგი საიდუმლოდ ემზადებოდა გადამწყვეტი ომისათვის. ქართველებმა აჯი-ჩალაბს განზრახვა გვიან შეუტყვეს. 1751 წ. დაღისტნელი ფეოდალებისა და შაქი-შარვანის შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა ქართველთა ჯარი. ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება.

იმავე დროს საქართველოს დიდი საფრთხე გაუჩნდა სამხრეთ აზერბაიჯანის მხრივ. თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი მთელი ირანის დაპყრობასა და ხელმწიფედ დაჯდომას აპირებდა. 1751 წელს ხანმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიას შემოუტია. ომი მან ერევნის სახანოდან დაიწყო.

ახალი საფრთხე ქართლისა და კახეთის პოლიტიკურმა მესვეურებმა კარგად გაითვალისწინეს და ერეკლე ფიცხლავ გაეშურა ერევნის სახანოს მისაშველებლად. ომი მოხდა ერევნის ახლოს, ყირხ-ბულახთან. ერეკლეს ბევრად უფრო მცირე ჯარი ჰყავდა, ვიდრე მტერს, მაგრამ იგი გულმტკიცედ შეება მოწინააღმდეგეს. ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა: მისი პირადი გაძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერ და ხერხიანად დაეტაკა ყიზილბაშთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთი დაკვრით მოშალა. აზატ-ხანმა ძლივს უშველა თავს. ერეკლე მეფემ ერევან-ნახჭავნის საქმეები მოაწესრიგა და თბილისს დაბრუნდა.

ახლა შესაძლებელი გახდა აბრაგების ასალაგმავი ღონისძიების გატარებაც. დაღისტნელ ფეოდალთა შემოსევების აღკვეთა აჯი-ჩალაბის განადგურებით უნდა დაწყებულიყო. აჯი-ჩალაბი ხერხიანად იბრძოდა. თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ შაქის ხანმა არა მარტო დაღისტნელები დარაზმა. არამედ განჯ-ყარაბაღისა და ერევნის

ხანებიც კი გადაიბირა. 1752 წელს ამ ხანების მოღალატეობის გამო ქართველებმა განჯასთან ომი წააგეს. გამარჯვებული აჯი-ჩალაბი შეტევაზე გადმოვიდა. კარზე მომდგარ საფრთხეს ქართლ-კახეთის სამეფოს ხელმძღვანელობა მხნედ შეეგება: ხალხი ციხე-სიმაგრეებში დახიზნეს, ომში ქუდზე კაცი გაიწვიეს, ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებისა და სხვა მთიელების დასაქირავებლად კაცები აფრინეს. ქართველები სავსებით მზად იყვნენ, რომ მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცათ. ამიტომ მტერმა თავის დამპყრობლურ განზრახვაზე ხელი აიღო და უკან გაბრუნება არჩია, მაგრამ ქართველთა ჯარი, ერეკლეს სარდლობით, ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე მიეწია მას. მოხდა სასტიკი ომი, რომელშიაც განსაკუთრებით ისახელეს თავი ქიზიყელმა გლეხებმა და ჩერქეზთა რაზმმა. მტერი დამარცხდა და დიდად დაზარალებული გაიქცა.

ამ გამარჯვებას ქართველი ხალხისათვის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. მაჰმადიანური სახანოების კავშირი, რომელიც შაქის ხანმა ქართლ-კახეთს დაუპირისპირა, მალე დაიშალა. ერევნის, განჯისა და ამიერკავკასიის სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევ მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ. ბოლოს თავრიზელმა აზატ-ხანმაც ხელი აიღო მტრულ საქმიანობაზე და ზავი შემოსთავაზა ქართლ-კახეთის მეფეებს. ქართველთათვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო. აზატ-ხანის დაცხრომა ქართლ-კახეთის საშინაო სიმტკიცესაც ხელს შეუწყობდა.

ამრიგად, ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი და წარმატებით მოიგერია მეზობელ ხანთა გაერთიანებული შემოტევა.

§ 2. დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ბრძოლა მათ წინააღმდეგ

ქართლ-კახეთში დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმები განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754 — 1760 წლებში. მთელი ქართლი აივსო მათი ბრბოებით. მოსახლეობა ციხეებს ეფარებოდა და ამის გამო მეურნეობა ძალზე დაზარალდა. გარდა წვრილ-წვრილი თარეშისა, დაღისტნელმა ფეოდალებმა იმ ხანებში რამდენიმე დიდი ლაშქრობაც მოაწყეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დაღისტნელთა ორგზის ლაშქრობა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდი ჯარით გადმოვიდა და ქართლ-კახეთის ერთიანად აოხრებას ლამობდა. ნურსალ-ბეგმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარა, არაგვი გადმოლახა, ქართლში შემოვიდა და გარს შემოერტყა მჭადიჯვრის ციხე-გალავანს, მუხრან-დუშეთის გზაზე, მდინარე ნარეკვავის ხეობაში.

მჭადიჯვართან სასტიკი ომი გაიმართა, მაგრამ ბრძოლის ველიდან მტერი მძიმედ დაზარალებული გაიქცა.

ხუნძახის ბატონზე მოპოვებული დიდი გამარჯვების სიხარულს ქართლ-კახეთში ანელებდა აბრაგთა კვლავ ბოლომოუღებელი წვრილ-წვრილი თარეში.

ასეთ თარეშებს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადიჯვართან დამარცხების ჯავრის ამოყრა სურდა. ნურსალ-ბეგმა დიდძალი ხალხი შემოიყარა, და მას დაღისტნის სხვა ბატონებიც გამოჰყვნენ. ამ დიდი ლაშქრით ხუნძახის ბატონი ყვარლის თავს დადგა. ოცი ათასი მეომრით შემოადგა იგი ყვარლის დიდ ციხე-გალავანს.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ ცნეს. ციხის დამცველებს უჭირდათ და აუცილებელი იყო მათი გამხნევება. ამის გამო ერეკლემ დამხმარე რაზმის ალყაშემორტყმულ ციხეში შეგზავნა გადაწყვიტა. ასეთი ღონისძიება დიდ თავდადებას მოითხოვდა. ამ საგმირო საქმეზე ორასექვსი კაცი გამოვიდა, ამათგან, ცხრა თავად-აზნაურს გარდა, ყველა გლეხი იყო. ისინი ღამე გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ მეალყეთა ყარაულებს და ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. მეშველმა რაზმმა თოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანა ციხეში. მტრის მიერ ციხის ჩქარა და ადვილად აღება უკვე შეუძლებელი ჩანდა.

ყვარლის ციხეში დამხმარე რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ერეკლეს სამხედრო ხერხმა გასჭრა: ჭარელებმა გადაწყვიტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავ-თავისი სახლებისათვის მიეხედნათ. ჭარელები მოიხსნენ გალავნიდან და შინისკენ ქნეს პირი. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც, რადგან ქართველი მარბიელები მის ქვეყანასაც უპირებდნენ მოთარეშებას. ამის დანახვაზე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. ასე რომ მოალყეთა ჯარის ერთი მხარი სავსებით მოიშალა. ასეთ პირობებში დაღისტნელი სურხაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეს და შინისაკენ გასწია. მალე ნურსალ-ბეგიცა და შამხალიც შემოეცალნენ ყვარლის ციხეს. ქართველმა ხალხმა დიდი საფრთხე აიცილა თავიდან, მტერს ქართლისა და კახეთის ერთბაშად აოხრების გეგმა ჩაეშალა, მაგრამ დაღისტნელ ფეოდალთა წვრილ-წვრილი თავდასხმებიც საბოლოოდ დიდ ვნებას აძლევდა ქვეყანას.

§ 3. რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცება

მოსკოვის ქართული კოლონია

ქართველი ხალხის რუს ხალხთან, მის კულტურასთან გაცნობა-დაახლოებას, რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობას ძალზე შეუწყო ხელი მოსკოვში წარმოქმნილმა ქართულმა კოლონიამ. როგორც ვიცით, ვახტანგი და მისი მხლებლები იქ ჩასახლდნენ, ხოლო ამის შედეგად კოლონია გაიზარდა რიცხობრივაც და სულიერადაც. ამ კოლონიას პირველ ხანებში ნივთიერად რუსეთის მთავრობა ინახავდა, ხოლო ზნეობრივად მთელი მოწინავე რუსეთის მიმზიდველობა და იმედი განამტკიცებდა. იქ გრძელდებოდა გადასახლებულთა შემოქმედებითი კულტურული მუშაობა; იბეჭდებოდა, ვახტანგის დროინდელი თბილისური სტამბის ტრადიციებისამებრ, ქართული წიგნები; წარმოებდა რუსული ენის, ლიტერატურის შესწავლა, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობა.

ამ კოლონიის წევრები მოსკოვის გარეთაც ესახლებოდნენ საცხოვრებლად. დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი მოსკოვიდან საბოლოოდ გადასახლდა უკრაინაში ქ. მირგოროდს.

მოსკოვის კოლონიის შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი ნათლად ჩანს ქართული კულტურის ისტორიაში.

ამ კოლონიის არსებობას თავის დროზე პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ის აადვილებდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო ხელისუფლების დაკავშირებას რუსეთთან, ამ ქვეყნების ურთიერთ გაცნობას, საჭირო ინფორმაციის მიღებას, მისვლა-მოსვლას.

ქართლ-კახეთის ურთიერთობა რუსეთთან

1752 წ. მღვდელმთავარი ათანასე ამილახვარი და სვიმონ მაყაშვილი რუსეთს გაიგზავნენ ქართლისა და კახეთის მეფეთა ელჩებად. იქ ისინი სამეფო კარს აუწყებდნენ, რომ ქართველი ხალხი უკვე საკმაოდ მომძლავრდა, რომ ამიტომ ახლა უფრო ადვილი იყო, რუსეთის ინტერესთა შესაბამისად, დაცვა ქართველთა მიწა-წყლისა.

რუსეთი ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა საერთო პოლიტიკურ ვითარებას ასეთი დახმარებისათვის ხელსაყრელად. თურქეთი, თავის მხრივ, მზაკვრული ხერხებით ლამობდა ქართველი ხალხის რუსეთისაგან ჩამოშორებას.

ამის შემდგომ, უკვე 1761 წელს, პეტერბურგს ეწვია თვით ქართლის მეფე თეიმურაზ II. რუსეთის მეფისაგან თეიმურაზი ითხოვდა ჯარს ან ჯარის დასაქირავებელ ფულს, სესხად. ქართველთა გეგმით, ამ ჯარის

დახმარებით ქართველი მეფეები დაღისტნელთა თავდასხმებსაც ალაგმავდნენ და ქართველთა საგანგებო ლაშქრით ირანშიც შევიდოდნენ, იქ ირანელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და მას რუსეთისათვის სასურველ შაჰს აარჩევინებდნენ; ამრიგად, თეიმურაზი და ერეკლე ირანში რუსეთის ინტერესების გამტარებლად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება, ირანის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა. რუსეთში ამ გეგმაზე აქტიურად გამოხმაურება იმჯერად შესაძლებლად ვერ დაინახეს. ამასობაში, 1762 წლის 8 იანვარს, თეიმურაზი პეტერბურგში გარდაიცვალა.

§ 4. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ერეკლე II-ის დროს

თეიმურაზის გარდაცვალების უმალ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა და ამრიგად ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა. ირანის იმდროინდელმა მბრძანებელმა ქერიმ-ხანმა სცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით დაადასტურა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში ჰეგემონობის ერეკლესეული გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა. მმართველ წრეებს ძველი, ძლიერი საქართველოს აღდგენის პერსპექტივა დაესახათ. ბევრი არაქართველი — სომეხი, აისორი თუ სხვა — მოღვაწეც ამიერკავკასიასა და მის მეზობელ ქვეყნებში თავისი ხალხის უკეთეს მომავალს ერეკლეს ამ პოლიტიკურ გეგმას უკავშირებდა და მზად იყო, ქართველთა მეფის ხელმძღვანელობით, ქართველებთან ერთად ებრძოლა ამ გეგმის განხორციელებისათვის.

ამავე დროს მიმდინარეობდა მძიმე საშინაო ბრძოლა. თეიმურაზმა და ერეკლემ ადრევე შეუტიეს ერთ-ერთ უძლიერეს სათავადოს, არაგვის საერისთავოს (1743 წ.). იმ დროს აჯანყებულმა არაგველმა გლეხებმა თავიანთი ერისთავი ბეჟანი მოკლეს. თეიმურაზმა არაგველები მოიმხრო და საერისთავო შეუერთა სამეფო მიწებს. შემდეგ ქსნის ხევის მოსახლეობაც გადმობირებულ იქნა და ქსნის საერისთავო ჩამოერთვა გივი ამილახვარს (1744 წ.).

ასე რომ თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობა თავადებთან მძაფრი შეტაკებით დაიწყო. ქართლის თავადებს აშინებდათ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, ისინი ქართლ-კახეთის გაერთიანების აზრსაც კი ვერ იწყნარებდნენ. თავიანთი ვიწრო წოდებრივი მიზნებისათვის ბრძოლაში რეაქციონერი თავადები ხალისით უკავშირდებოდნენ ქართველი ხალხის ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, „ლეკებს“

თუ სხვებს. რეაქციის მომხრეებს თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგენი მოსკოვის ქართულ კოლონიაშიც ეგულებოდათ.

60-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართლის თავადებს გარედან დახმარების იმედი თითქმის გადაეწურათ, რადგან ქერიმ-ხანი ერეკლეს მეგობრობდა, ოსმალეთიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ემორჩილებოდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ.

ამ ახალ პირობებში რეაქციონერი თავადები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ: მათ მეფისა და მთელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ საქმის ხელმძღვანელი იყო პაატა, ვახტანგ მეფის უკანონო შვილი. მალე პაატას სადგომი, ვინმე მარკოზაშვილის დარბაზი, შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განაზრახის სისრულეში მოსაყვანად, ისინი გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა. მეფემ სწრაფად დააჭერინა შეთქმულების მეთაურები. ისინი სასტიკად დასაჯეს. ამ გამარჯვების შედეგად მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. შემდეგში რეაქციონერ თავადებს მეფის წინააღმდეგ ტერორი აღარ უცდიათ.

ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ერეკლე სხვა წარმატებასაც ეწია. 1755 წელს მან ყაზახში ხანობა გააუქმა და ეს ქვეყანა სამოურავოდ აქცია, ხოლო 1765 წლისათვის ბორჩალო-ბაიდარსაც უკვე მეფის მოურავები განაგებდნენ.

§ 5. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის მეოთხე ნახევარში

სოლომონ I

1752 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. სოლომონი მამის კვალს გაჰყვა და გამდგარი თავადების დამორჩილებას შეეცადა. საერთოდ სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა. ამ მხრივ სოლომონის საქმიანობა ერეკლესას ჰგავდა.

თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. ერთიცა და მეორეც მტკივნეული მოვლენები იყო და იმერეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს მათი აღმოფხვრა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საქმის გარშემო ძალთა გაერთიანება შედარებით ყველაზე ადვილად მოხერხდებოდა.

სოლომონმა წვრილი თავადები შემოიკრიბა; იმავე დროს მან მოხერხებულად შემოირიგა უძლიერესი ფეოდალები — ოტია დადიანი და მამია გურიელი. ამით მეფემ მტრებს — რაჭის ერისთავსა და აბაშიძეს — ძლიერი მომხრეები ჩამოაცილა.

მეფე-მთავრების ასეთმა შეთანხმებამ ოსმალეთის ყურადღება მიიპყრო. მისთვის განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა. მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძემ და როსტომ ერისთავმა დრო იხელთეს. აბაშიძემ ახალციხეში ამოჰყო თავი და მტერს სოლომონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ იმერეთზე წამოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურიელის რაზმები მოეშველნენ. იმერეთის მეფეს ეახლა აგრეთვე, თავისი რაზმით, აფხაზეთის მთავრის შარვაშიძის მემკვიდრე. 1757 წელს დეკემბერში ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ახალგაზრდა სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეიტყუა თავის სიმრავლეს მინდობილი ოსმალები მოხერხებულ ადგილას — ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე, და ისე გაბედულად დაესხა თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა მტერი. ამ ომში მოკლულ იქნა ლევან აბაშიძე. მეფემ აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა-მამული სხვა დამნაშავე ფეოდალებს. როსტომ ერისთავი იმჯერად დაუსჯელი გადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა.

ხრესილის ომის შედეგად იმერეთის მეფე შესამჩნევად გაძლიერდა.

იმერეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერება. ელჩობა რუსეთში

1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან დასდეს სამხედრო კავშირი: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი 1770 წლამდე არ დარღვეულა.

ოსმალეთს ხრესილთან დამარცხება ვერ მოენელებინა და იმერეთის დამორჩილებას დაჟინებით ცდილობდა. 1758 წელს სოლომონ მეფესა და ოსმალთა ჯარებს შორის ორჯერ მოხდა ომი. ამ ომებმა მეფის ხელისუფლების მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაზარდეს.

1759 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება. ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ტყვის სყიდვის აკრძალვა

დასავლეთ საქართველოში. კრებაზე სოლომონ მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები შიშით უცქეროდნენ მეფის გაძლიერებას — განსაკუთრებით როსტომ რაჭის ერისთავი.

1763 — 68 წლებში იმერეთის მოსახლეობა გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობლებს და მათ დამხმარე თავადებს. შეუდრეკელი ბრძოლით იმერეთის ხალხმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო მისი ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობის განზრახვაზე. მტერმა მეფესთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სოლომონს ოსმალეთთან ზავის სიმტკიცე არ სწამდა და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ძველისძველი მტრობის ამბავი, და სოლომონ მეფეც ამაზე ამყარებდა თავის გეგმას. 1768 წელს იმერეთიდან საგანგებო ელჩი, მაქსიმე ქუთათელი გაიგზავნა რუსეთს, სოლომონი რუსეთ ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა და სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევაში დახმარებას აღუთქვამდა.

აფხაზეთის სამთავრო

XVIII საუკუნეში აფხაზეთის სამთავროს ცალკეული კუთხეები სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, სხვადასხვა საფეხურზე იდგა: საზღვისპირო და მთისძირა ზონებში ფეოდალური ურთიერთობა ბატონობდა, მთიან ნაწილებში კი სათემო საკუთრება, სასოფლო თემები (აქიტა), თუმცა მასაც უკვე რღვევის ნიშნები აშკარად ეტყობოდა.

ექსპლუატატორთა კლასი აფხაზეთში თავადების (ათავად), აზნაურებისა (აამისთა) და საეკლესიო ფეოდალებისაგან შედგებოდა.

გლეხობა აფხაზეთშიც უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით ერთმანეთისაგან განირჩეოდა და სხვადასხვა კატეგორიად იყოფოდა. ძირითადს მათ შორის შეადგენდა: ა ნ ხ ა ი უ ანუ ფ ი ო შ ი (მსახური), ა მ ა წ უ რ ა ზ კ უ (მოინალე), ა ხ-უ ი უ (მოჯალაბე), ა ხ ა შ ვ ა ლ ი (უცოლო მოჯალაბე) და სხვ.

აფხაზეთში გლეხთა დიდი ნაწილი ერთი მებატონიდან მეორესთან თავისუფლად გადასვლის უფლებით ჯერ კიდევ სარგებლობდა, ე. ი. იგი მიწაზე საბოლოოდ არ იყო მიმაგრებული; ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთში ბატონყმური ურთიერთობა სუსტად იყო განვითარებული. ამიტომაც იზიდავდა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილების მწარმოებელ მოსახლეობას აფხაზეთი; ამიტომ გარბოდნენ იქ, განსაკუთრებით სამეგრელოდან, ყმა გლეხები, რომლებმაც თანდათან, საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბეს გააფხაზებული ქართველების საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

აფხაზები XVIII საუკუნეში, ისე როგორც წინა საუკუნეებში, აქტი-

ურად მონაწილეობდნენ იმ საერთო ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

აფხაზები ვერ ურიგდებოდნენ ოსმალთა გაბატონებას და მათ წინააღმდეგ სახალხო აჯანყებებს აწყობდნენ. ასეთი აჯანყებები მომხდარა 1725 — 28 წლებში. მიუხედავად დამარცხებისა, აფხაზებს ბრძოლაზე ხელი არ აუღიათ და იგი კიდევ უფრო ძლევამოსილად 1733 წლისათვის განუახლებიათ. ამ შემთხვევაში აფხაზეთის მოსახლეობამ ოსმალო-აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის, მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევრიდან გაძლიერდა. სოფ. ხრესილთან მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში, სხვებთან ერთად სამურზაყანოელთა რაზმიც მონაწილეობდა, რომლის მეთაურმა ხუტუნია შარვაშიძემ განსაკუთრებით ისახელა თავი.

ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე 1771 წელს აფხაზეთში ოსმალო მოძალადეთა წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებას.

ამ დროს აფხაზებმა შესძლეს სოხუმის ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება და მისი გაწმენდა ოსმალთა გარნიზონისაგან, მაგრამ რეაქციონერ თავადთა მტრულმა მოქმედებამ საქმე საბოლოოდ მაინც ოსმალთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

აფხაზმა რეაქციონერმა თავადებმა და მათ მიერ მხარდაჭერილმა ოსმალებმა ზურგი განსაკუთრებით XVIII ს. 80-იანი წლებიდან გაიმაგრეს, როცა სამთავრო ტახტზე ქელიშ-ბეი შარვაშიძე ავიდა. ქელიშ-ბეი ოსმალეთის მთავრობის სამსახურში იყო და იგი ენერგიულად ეხმარებოდა მას საქართველოში შინაური შუღლის გაჩაღებისა და აქ ოსმალთა გაბატონების საქმეში. მაგრამ ოსმალეთმა ვერ მოახერხა, რომ აფხაზეთი, ახალციხის საფაშოს მსგავსად, თავის მტკიცე დასაყრდენად ექცია საქართველოს დამონებისათვის ბრძოლაში. ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლოს და ბოლოს გამარჯვებით დამთავრდა.

§ 6. რუსეთ-ოსმალეთის ომი და საქართველო

1769 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთი ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მიმხრობას ცდილობდა. ოსმალეთი კი, თავის მხრივ, ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანთა ერთგულების მოიმედე იყო.